ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისი
1929 წ.
№ 1

საქართველო

JUILLET
1929. — № 1

« SAKARTUELLO »
« LA GÉORGIE » Organe du Parti-National-Démocrate géorgien

1 ივნისი 1929. პარიზი.

უმთავრესი დამახასიათებელი ხაზი ჩვენი დროისა არის ეროვნული მოძრაობა. საკმარისია თუნდაც ზერელედ გადაავლოთ თვალი ქვეყნიერებას, რომ დაინახოთ ყველგან ერთი და იგივე მოვლენა ეროვნული გამოღვიძების, ცდისა და ბრძოლის ეროვნული სულის და სხეულის შესაქმნელად. თითქო დაჰბერა რაღაც საიდუმლო სულმა და აგრძნობინა ყველას, რომ სწორედ ერი არის ის მისაღები და აუცილებელი ფორმა, რომლის ჩარჩოებში უნდა მოხდეს საკაცობრიო წინსვლა და განვითარება.

დიდი სახელმწიფოები ჰხედავენ, რომ საჭიროა ამ საზოგადო მოძრაობას ანგარიში გაუწიონ და თავიანთ ტრადიციულ პოლიტიკაში შეაქვთ თანდათან სათანადო შესწორებანი. უფრო მნიშვნელოვანია პატარ-პატარა ერების გამოსვლა, ზოგჯერ ისეთი ერების, რომელთა სახე და სახელიც კი ისტორიას არც კი გაუგონია. მერე რა და რას არ აკეთებენ? იგონებენ ლეგენდებს თავიანთ დაბადების შესახებ წარსულ საუკუნეთა სიბნელეში, თხზავენ თავიანთ ისტორიას, ჰქმნიან გმირებს ცარიელი წარსულის ასავსებათ; ლაპარაკობენ თავიანთ კულტურაზე, თხრიან მიწას, რომ აღმოაჩინონ იქ რაიმე ნაშთი მათი წარსული ცხოვრებისა; ზოგსა დღემდე ანბანიც კი არა ჰქონდა; ეხლა იგონებენ ანბანს, ეხლა სწერენ ლექსებს, აგროვებენ ზღაპრებს და ჰყვირიან—«მოგვეცით გზა ჩვენი ეროვნული გენიალობის გასაშლელადო!»

ჩვენ სრულებით ფიქრად არ გვაქვს დავგმოთ ან ვაძაგოთ ასეთი გატაცება. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ფაქტი და ამ ფაქტს შევადაროთ საქართველოს მდგომარეობა. საქართველოს ყველაფერი ბლომად აქვს. მისი სული და ისტორიული სახე დიდი ხანია გამორკვეულია; მისი ისტორია ისე დიდია და ვრცელი, რომ ჩვენ ვერც კი შეგვისწავლია: მისი ლიტერატურა ისე მდიდარია, რომ ჩვენ თვითონ, ჩვენ განათლებულ ქართველებს, ნახევარიც წაკითხული არ გვაქვს; ჩვენ არამც თუ მიწა არ გაგვითხრია ჩვენი წარსულის გასამდიდრებლათ, ჩვენ ისიც კი ვერ დაგვითვალიერებია, რაც მიწაზე არის მიწიდან ამოხეთქილი და მიწაზე განსახიერებული გონებრივი აშუქება ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა: ნაშთი და ნანგრევები ჩვენი ეკლესიების, მონასტრების, სასახლეების; ჩვენი ერის გულში და ჩვენი ქვეყნის მთა და ბარზე ყოველ წამს გადადის საუცხოვო მუსიკალური ტალღები, ბუნებრივი ვიბრაცია ეროვნული ნიჭიერების, რომლის მცირე ნაწილიც ჯერ ნოტებზედაც გადაღებული არ არის, რომ შეტანილ იქმნას საკაცობრიო სალაროში... ჩვენ ყველაფერი საკმაო გვაქვს—ერი, მისი შემომქმედი ძალა, მისი მდიდარი ტერიტორია.

უნდა ავიღოთ ხელი ამ ქვეყანაზე და მის წარსულზე?! ეს კითხვა ნუ გაგიკვირდებათ. საკითხი სწორეთ ასე დგას. ეს პატარა, მაგრამ სახელოვანი ერი ისევ ჩაუვარდა რუსეთის გამანადგურებელ ბატონობას.

ჩვენ ერთჯერ კიდეც გადავაგდეთ უღელი ამ ბატონობისა და მივეცით სრული გასაქანი ჩვენს ეროვნულ შემოქმედებას. ჩვენ ვიცით ეხლა არა მარტო ჩვენი წარსული, ჩვენ ვიცით ის გზაც, რომელსაც დაადგა ქართველი ერი და ის იდეალიც, რომელსაც იგი ისახავს. გამოირკვა, გამოითქვა და ჩამოყალიბდა მისი ნების ყოფა. გზა იგივეა, რაც იყო ძველად, გზა ბუნებრივი და თავისუფალი, გზა განათებული მზისა შუქით და ხმელთა-შუა ზღვის კულტურით. იდეალი იგივეა, რაც დასახული აქვს ევროპის ყველა განათლებულ ქვეყნებს: თავისუფლება და სამართალი.

რა უნდა ვქნათ ჩვენ? ხელი ავიღოთ ჩვენს ერზე და მის იდეალებზე?—ნუ გაგიკვირდებათ,—საკითხი სწორედ აგრე დგას.

დასკვნაც ცხადია. ჩვენ გვინდა რუსის ერთან ძმური და მეგობრული განწყობილება, დამყარებული თანასწორ უფლებებზე და ერთი-მეორის პატივის ცემაზე. ეს არის პირდაპირი შედეგი თავისუფლების და სამართლისა, ე. ი. იმ პრინციპის, რომელიც ქვაკუთხედათ დაუდვა ქართველმა ერმა თავის ცხოვრებას და რომლითაც იგი მჭიდროთ გადაწნულია ეხლანდელი კაცობრიობის კულტურულ მოძრაობასთან.

ქვემოდ ჩვენ ვბეჭდავთ ოქმს «ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელ წევრთა კრებისა», საიდგანაც მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ რა პოზიცია უჭირავს ჩვენს პარტიას და რა ტაქტიკას ადგია იგი, რომ პირნათლად და თავგამოდებით ემსახუროს ქართველი ერის ბრძანებასა და იდეალებს.

◆

პარიზი, 26 მაისი 1929.

ოცდა ექვსი მაისი!... სადა ხართ სიტყვებო, რომ გამოვსთქვათ ყველა ის გრძნობები, რომელსაც უღვიძებს ქართველს ამ დღის ხსენება.

ის გამოუთქმელი სიხარული, რომელიც განიცადა მან იმ დღეს, იმ ნეტარ ოცდა ექვს მაისს, როდესაც, საუცხოვოდ ღრმად და ლამაზად გამოთქმულს ქართულად მცნების თანახმად, ის გახდა თავის უფალი.

ის უდიდესი და უღრმესი მწუხარება, რომელიც მძიმე ლოდად გადაეფარა ამ სიხარულს მას აქეთ, რაც ადამიანთა სიბოროტემ ეს თავის უფლება მას მოუსპო და მისი ქვეყანა ვაების და წამების ქვეყნად აქცია.

გამოუთქმელია სულიერი ტანჯვა და მწუხარება იმ ქართველისა, რომელიც უბედურების ტალღამ სამშობლო კერას მოჰგლიჯა და სადღაც შორს გარიყა, მაგრამ რა არის ეს ტანჯვა და მწუხარება იმ ჭირთა დენასთან, რომელსაც ულმობელი მტერი დღე და ღამ ათოვებს მის მშობელ ქვეყანას და ერს.

ოცდა ექვსო მაისო, დღევ გამოუთქმელ სიხარულისა, დღევ მწარე მოგონებათა და მწუხარე ფიქრთა დღეთ გადაქცეულო, შენვე დაგვრჩენიხარ დღეთ სასოებისა და უკვდავ იმედისა.

დღევ იმედისა და სასოებისა-თქო!

დიალ, მხოლოდ მას შეუძლია გაუღვიძოს და გაუჩაღოს ადამიანს გულში იმედი და სასოება, რასაც ერთხელ მოუგვრია ამ გულისათვის ნეტარება და რის მოკლებასაც ნეტარება სიმწარედ შეუცვლია.

მაგრამ გახსოვდეს, ქართველო, ამ იმედის იმ ღვთაებრივ ცეცხლად გადასაქცევად, რომელშიაც ოცნების მსგავსი სურვილი ფოლადის სიმტკიცის ნებისყოფად უნდა გადადნეს, ერთი პირობაა აუცილებელი, — ყველა ნებისა, ყველა გონებისა, ყველა მისწრაფებისა ერთ ნებად, ერთ გონებად, ერთ მისწრაფებად შედუღება, ყველა სულის ერთ სულად გარდაქმნა, ერთის ნებისყოფისათვის დამორჩილება.

მხოლოდ ამ რიგად შეიძლება უნაყოფო ოცნების ნაყოფიერ იმედათ გარდაქმნა, იმ იმედად, რომ ახლოა ის დღე, როდესაც ვიხილავთ ჩვენს ქვეყანაში აფრიალებულს ჩვენი ერის სულსავით ნაზსა და ლამაზს სამფერო დროშას.

«მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა».

ივ. ზ—ლი.

ოქმი

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პასუხისმგებელ
წევრთა კრებისა, სამზღვარ-გარედ,
28 აპრილს 1929 წ. პარიზი.

თავმჯდომარეობს ბ. ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგი და ერთი დამაარსებელთაგანი ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიისა.

კრებას დაესწრენ:

1. ივ. ზურაბიშვილი, თავმჯდ. პარიზის კომიტეტისა
2. გ. გვაზავა, წევრი დამფ. კრებისა
3. პავ. თუმანიშვილი

დამაარსებელნი ეროვნ.-დემოკ. პარტიისა.

4. დავ. სხირტლაძე
5. ნიკო ჯაყელი
6. ი. სარჯველაძე

წევრნი პარიზის კომიტეტისა.

7. დ. აბხაზი—თანამგრძნობი.

განსახილველად იდგა საკითხი შესახებ იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა პარტიისათვის კომიტეტის წევრის ბ. რეზო გაბაშვილის განცხადების გამო მთავრობის თავმჯდომარის სახელზე.

გამოირკვა შემდეგი:

ბ-ნ რეზო გაბაშვილს წარუდგენია პარტიის კომიტეტის სახელით ეროვნულ ცენტრში მემორანდუმი ულტიმატიური მოთხოვნილებისა, შემდეგ საჭიროდაც არ დაუნახავს მოეცადა პასუხისათვის, და განუცხადებია წერილობით მთავრობის თავმჯდომარისათვის პარტიის სახელით, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გამოდის საერთო ეროვნულ ფრონტიდან და იწვევს ყველა პარტიულ წევრს ყველა საერთო ფრონტის ორგანიზაციებიდან.

მსჯელობის შემდეგ კრებამ დაინახა, რომ ეს ფრიად საპასუხისმგებლო ნაბიჯი, რომელიც არღვევს ეროვნულ ფრონტის მთლიანობას, არ შეეფერება არც პარტიულ პროგრამას, არც მის ტაქტიკას და ამავე დროს მოკლებულია ყოველ უფლებრივ საფუძველს, ვინაიდან:

1. პრინციპი ეროვნულ ფრონტის მთლიანობისა მიღებულ იყო საქართველოში, სადაც დამყარებულია მთელი სიმძიმე პარტიული მუშაობისა; ამიტომ იქ მებრძოლ ორგანიზაციის დაუკითხავად და მხოლოდ სამზღვარ-გარედ დროებით შექმნილ ორგანიზაციის მიერ გადალახვა ამ პრინციპისა ყოვლად შეუწყნარებელია.

2. ზემო მოყვანილი განცხადება მიღებულია მხოლოდ ზოგიერთ წევრთა მიერ მათი კერძო შეთანხმებით; იგი არც კი ჰსცოდნია ბევრს დამსახურებულ და პასუხისმგებელ კომიტეტის წევრს, უწინარეს ყოვლისა თვით თავმჯდომარეს, ბ-ნ ზურაბიშვილს, რომელიც ფორმალურად პირველი პასუხისმგებელი პირია კომიცეტის მოქმედებაში.

ამიტომ იბადება უფრო ვრცელი საკითხი, თუ რამდენად, შექმნილ პირობებში, ის კომიტეტი, რომლის სახელით ჰმოქმედებდა ბ. რ. გაბაშვილი, შეისლება ჩაითვალოს პარტიის პარტიის ნებისყოფის გამომხატველად და რამდენად შეუძლია მას აწარმოოს პარტიის სახელით პარტიული მუშაობა?

კრება აღნიშნავს, რომ ეს კომიტეტი, რომელსაც ეწოდება «გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სამზღვარ-გარეთელი ბიურო», შემდგარი იყო 1925 წელს შეთანხმებით. ამ შეთანხმებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა პასუხისმგებელი სამზღვარ-გარედ მყოფი პარტიული წევრი, ე.ი. დამფ. კრების, მთავარი კომიტეტის და ადგილობრივი კომიტეტის წევრნი—სულ 15 კაცი, და კოოპტაციით მოწვეული კიდევ ორი-სამი პირი. ეგ შეთანხმება იყო აგებული უპირველეს ყოვლისა საერთო ეროვნულ ფრონტის დაცვის და გაძლიერების პრინციპზე. ეხლა ეს შეთანხმება დაირღვა, იგი არ არსებობს, ვინაიდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო, უფრო კი იმ ატმოსფერის გამო, რომელიც შეიქმნა ზოგიერთ წევრის მოღვაწეობის წყალობით, ამ კომიტეტიდან გავიდენ 11 (თერთმეტი) პირი, ამათ შორის თვით თავმჯდომარეც. ცხადია, ის კომიტეტი, რომელიც დაარსდა მხოლოდ შეთანხმებით და რომელსაც არა ჰქონდა და არ აქვს სხვა რაიმე საფუძველი თავის არსებობისა, გარდა ამ შეთანხმებისა, ეხლა ამ შეთანხმების მოსპობით მოისპო თვითონ. ეხლა კომიტეტი არ არსებობს.

საჭიროება კი ნამდვილ პარტიულ ორგანოს შექმნისა სამზღვარ-გარეთ ეჭვს გარეშეა: ასეთ ორგანომ უნდა განაცხოველოს პარტიული მუშაობა, განამტკიცოს მთლიანი ეროვნული ფრონტი და წინ გადაელობოს ყოველ იერიშს, საიდანაც ის არ მოდიოდეს, წინააღმდეგ საქართველოს მთლიანი სახისა, როგორც საერთაშორისო ერთეულისა. ასეთი ორგანო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ პირთა ირგვლივ, რომლებიც ჰმუშაობდნენ პარტიაში დღიდან მისი დაარსებისა, იყვნენ გამომხატველნი მისი პროგრამის და დაიმსახურეს მისი ნდობა. ასეთნი არიან: პარტიის დამაარსებელნი, დამფუძნებელი კრების წევრნი, წევრნი მთავარი კომიტეტისა და წევრნი ადგილობრივი კომიტეტისა.

მიიღო რა მხედველობაში ყველა აღნიშნულნი გარემოებანი,

კრებამ დაადგინა:

1,—ზემოხსენებული განცხადება ბ. გაბაშვილისა შესახებ მთლიანი ფრონტის დაშლისა ჩაითვალოს ყოველ საფუძველს და ძალას მოკლებულად. ის არ არის სავალდებულო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრებისათვის.

2,—1925 წელს შეთანხმებით დაარსებული ე. წ. «გაერთიანებული ეროვ.-დემ. პარტიის სამზღვარ-გარეთელი ბიურო» გამოცხადებულ იქმნას ფაქტიურად დაშლილად და გაუქმებულად.

3,—დაარსდეს ამ კრებაზე დამსწრე პარტიის პასუხისმგებელი წევრებისაგან—რომელთა რიცხვში შედიან პარტიის დამაარსებელნი, დამფუძნებელი კრების, მთავარი კომიტეტის და ადგილობრივი პარიზის კომიტეტის წევრნი—სამზღვარ-გარეთელი პარტიული ორგანო, ამ სახელწოდებით: «სამზღვარ-გარეთელი კომიტეტი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა»; და აღიარებულ იქმნას იგი როგორც ერთადერთი უმაღლესი ორგანო გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკ. პარტიისა, რომელმაც უნდა იქონიოს სათანადო კავშირი საქართველოსთან.

4,—ყოველ წევრს დამფუძნებელ კრებისა და მთავარი კომიტეტისა, თუ ის კიდევ არის პარტიის წევრი და იზიარებს მთლიანი ეროვნული ფრონტისპრინციპს, უფლება აქვს გახდეს ამ კომიტეტის წევრი;

5,—კრება ერთხმად ირჩევს კომიტეტის ბიუროს შემდეგი პირებისაგან:

თავმჯდომარე	ვ. ზურაბიშვილი
თავმჯდ. ამხანაგი	გ. გვაზავა
ხაზინადარი	დ. სხირტლაძე
მდივანი	იოსებ სარჯველაძე.

წარმომადგენლებად ეროვნულ ცენტრში: ი. ზურაბიშვილი და გ. გვაზავა.

ხელს აწერენ: ე. თაყაიშვილი, ი. ზურაბიშვილი, გ. გვაზავა, პ. თუმანიშვილი, დ. სხირტლაძე, ნ. ჯაყელი, ი. სარჯველაძე, დ. აბხაზი.

ადამ მიცკევიჩი

26 მაისს. პარიზში მყოფ ქართველ საზოგადოებამ შეამკო ადამ მიცკევიჩის ძეგლი ცოცხალი ყვავილების მშვენიერი გვირგვინით, რომელზედაც ეწერა:

> «დიდებულ დევნილს ადამ მიცკევიჩს, დიად პოეტს და წინამორბედს პოლონეთის დამოუკიდებლობისას.—
> ქართველი დევნილები».

დაადვეს ეს გვირგვინი თუ არა, მთელმა საზოგადოებამ ქუდი მოიხადა და რამდენიმე წუთი იდგა თავჩაღუნული სამგლოვიარო დუმილში პოეტის ძეგლის ირგლივ.

სურათი იყო დაუვიწყარი.

მოედანი ალმა, სადაც ეხლახან აგებულ იქნა ძეგლი ადამ მიცკევიჩისა, თითქმის შუაგულია პარიზის. ამ მშვენიერი და უზარმაზარი ქალაქის დუღილი და მღელვარება აქა სცემს დაუცხრომელი ტალღებით: ხალხის დენა და სრბოლა ავტომობილების აქ განუწყვეტელია... და აი, ამ დაუცხრომელ ტალღების შუა ამართულია უშველებელი სვეტი, შემკული მხატვრული სიმბოლოებით. ამ სვეტზე სდგას ძეგლი პოეტის: ერთ ხელში უჭირავს მგზავრის ჯოხი, მეორე გამართული აქვს კარისაკენ, თვალებითაც მიჩერებულია ზეცას, თითქო იქ, მის მიუვალ სფეროში, ეძებდეს დაკარგულ სამშობლოს.

აი ამ ძეგლის ირგლივ იდგენ თავჩაღუნული, სამშობლოდან განდევნილი ქართველი მამულიშვილები: აქ ერთი აზრი, ერთი სულისკვეთება, ერთი რწმენა აცხოველებდა და აერთებდა ყველას—ძეგლსა და ცოცხალ ადამიანებს, თითქო ყველა იყო ძეგლის ნაწილი, ჩამოსხმული ძეგლთან ერთად ერთი სპილენძისაგან, ან გამოკვეთილი ერთი ქვისაგან.

არა, ეს წამი არ დაავიწყდება არავის, ვინც მას დაესწრო: ეს იყო შეხვედრა და ზიარება ორი სულის—პოლონეთის და საქართველოსი.

პავ. თუმანიშვილი.

* * *

საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები

«შეერთებულ შტატების სენატში,

23 აპრილი 1929.

ბ-ნ კოპელანდმა შემოიტანა შემდეგი «ბილლი», რომელიც ორ-ჯერ იყო წაკითხული და დაბრუნებული საგარეო საქმეთა კომისიაში.

კანონ-პროექტი

შესახებ ერთის დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნისა კავკასიის რესპუბლიკებში—ე. ი. საქართველოს, აზერბეიჯანს და ჩრდილო კავკასიაში.

ვინაიდან საქართველოს სამეფოს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, დაუცავს თავისი დამოუკიდებელი არსებობა, თავის ეროვნება, ენა, წესი და კანონები, მიუხედავად თითქმის განუწყვეტელი თავდასხმისა და ხშირი შემოსევისა, რომლის მსხვერპლი ის ყოფილა; მისი ტერიტორია იყო და არის, მეოთხე საუკუნედან მოყოლებული დასახლებული ქრისტიანე ხალხით;

ვინაიდან ამ სამეფოს მოჰყვა საქართველოს ეროვნული რესპუბლიკა, რომელიც წესისამებრ და თავისუფლად დაარსდა, მისივე დაწერილი კონსტიტუციით, 26 მაისს 1918 წ.;

ვინაიდან არსებობა ამ რესპუბლიკისა საზოგადოდ იყო ცნობილი ყველა სახელმწიფოთა მიერ, გარდა შეერთებული შტატებისა;

ვინაიდან, მიუხედავად ასეთი ცნობის რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წ., ეს მთავრობა შემდეგ შემოიჭრა და ეხლა განაგებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო მთავრობა ამ რესპუბლიკის იძულებული გახდა გადაეტანა თავის მოღვაწეობა თბილისიდან, შემდეგ ბათუმიდან, საფრანგეთში, სადაც მისი ოფიციალური მოხელენი ეხლაც განაგრძობენ თავიანთ მუშაობას;

ვინაიდან ასეთივე საშინელი პირობანი განიცადეს აგრეთვე აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკებმა;

ვინაიდან კონგრესის აზრია, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ უნდა პირდაპირ დაჰგმოს რუსეთის მთავრობის ეს გაუმართლებელი მოქმედება და გამოუცხადოს თავის სიმპატია ამ რესპუბლიკათა ერებს, ამიტომ საჭიროა:

დადგენილ იქმნას ამერიკის შეერთებულ შტატების სენატისა და დეპუტატთა პალატის მიერ, მათ საკონგრესო ყრილობაზე, რომ კანონით ნებადართული იყოს გაღება იმ ხარჯისა, რომელიც გამოწვეული იქნება დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნით კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკებში—საქართველოში, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიაში, მაშინ, როცა პრეზიდენტი დაინახავს დროის შესაფერისად შეუდგეს ამისთანა დანიშნულებას.»

ასეთია შინაარსი ამ შესანიშნავ დოკუმენტისა. არავის გამოეპარება მისი ღრმა მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

* * *

ეროვნული დღეობა

მშვენივრად იყო მოწყობილი და მშვენივრად ჩაიარა მეთერთმეტე წლის თავმა ქართველი ერის დამოუკიდებლობის გამოცხადებისამ.

26 მაისს, «ალიანს-ფრანსეზის» უშველებელი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და ბევრი უცხოელები, ცნობილი პირები პოლიტიკასა და დიპლომატიაში. დაესწრნენ წარმომადგენლები აზერბეიჯანის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიის, უკრაინის და ზოგიერთ სხვა ქვეყნებისა.

დღეობა დაიწყო ქართული ჰიმნით, რომელსაც ფეხზე ადგომით და ტაშით მიეგება მთელი საზოგადოება. შემდეგ «ქართველთა ასოციაციის» თავმჯდომარემ ბ. დ. სხირტლაძემ მიჰმართა საზოგადოებას შემდეგი სიტყვით ფრანგულ ენაზე:

«ბ ნო თავმჯდომარევ!

«ბატონებო!

«ქართველთა ასსოციაცია საფრანგეთში» დღეს ჰზეიმობს ქართველი ერის მიერ მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-11 წლის თავს.

26 მაისს 1918 წელს, საქართველომ, უცხო ერის ერთი საუკუნის ბატონობის შემდეგ, ისევ აღადგინა ხაზი თავის ეროვნულ განვითარებისა. მან აღადგინა ამ დღეს თავისი ათასწლოვანი სუვერენობა, ამოისუნთქა მთელი მკერდით და დააჩქარა დემოკრატიული რეფორმებით გადაება თავისი მოძრაობა განათლებულ ქვეყნების საზოგადო მოძრაობასთან.

26 მაისი მაშასადამე არის დღე ქართველი ერის აღდგენისა—დღეობა ეროვნული, ამ სიტყვის სრული მისი უკეთილშობილესი შინაარსით.

ამ დღეს იდღესასწაულებენ ყველგან, ხოლო საქართველოში კი ვერა, სადაც წითელ ლაშქართა შემოსევამ ისევ აღადგინა მოსკოვის ბატონობა.

ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, ჩრდილსა სცემს დღევანდელ ზეიმს. მაგრამ ეს ზეიმი მაინც არა ჰკარგავს თავის აზრს და მნიშვნელობას ჩვენთვის: ის აღვივებს და აცხოველებს ჩვენს რწმენას ჩვენი მისწრაფების საბოლოო გამარჯვებით.

რაც გინდა იყოს, ჩვენთვის დიდი ნუგეშია, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიდღესასწაულოთ ეს დღე აქ, საფრანგეთის მიწა-წყალზე.

განა საჭიროა მოგაგონოთ ცნობილი ანდაზა: «ყველას აქვს ორი სამშობლო: თავისი და მეორე—საფრანგეთი». ეს ჭეშმარიტებაა ყოველ ქართველისათვის, რომელმაც იპოვა ტკბილი საფრანგეთის მადლიანი მიწა-წყალზე მამაშვილური მოპყრობა და უხვი მასპინძლობა.

მე მოხარული ვარ, რომ მეძლევა შემთხვევა, «ქართველთა ასსოციაციის» სახელით მივუძღვნა ამის გამო ჩვენი ღრმა და დაუშრობელი მადლობა ჩვენს მეორე სამშობლოს და აგრეთვე ჩვენი აღტაცება, რომ ის აგრე ერთგულად იცავს ყოველთვის თავის კეთილშობილურ ტრადიციებსა.

ვუძღვნი ამავ დროს ჩვენს გულწრფელ მადლობას ჩვენს ფრანგ მეგობრებს, რომლებმაც კეთილ-ინებეს ემცნოთ ჩვენთვის თავიანთი სიმპატია და თავის აქ დასწრებით მოგვიტანეს ჩვენ ზნეობრივი გამხნევება, ჩვენთვის მუდამ ფასდაუდებელი.

გონებრივი აშუქება საფრანგეთისა ჩვენ გვინათებს გზას, ხოლო ბოლშევიკური შემოსევაც კავკასიაში, მიუხედავად მისი საზიზღრობისა, იძლევა ისიც ერთ გაკვეთილს: ის გვაჩვენებს ერთხელ კიდევ, რომ საერთო ხსნა არის ყოველთვის კავკასიის ერთა ძმურ კავშირში.

მე მდაბლად ვესალმები წარმომადგენლებს—სომხეთისა, აზერბაიჯანისა, და ჩრდილო კავკასიისას; ვესალმები აგრეთვე წარმომადგენელს უკრაინისას, რომლის ბედი აგრე გადაწნულია ჩვენს ბედთან, და მადლობას ვუძღვნი რომ მობრძანდნენ მიიღონ მონაწილეობა ჩვენს პატარა მხიარულებაში. და ამით უფრო ცხად-ჰყვეს ის სოლიდარობა, რომელიც ჩვენ გვაერთებს ყველას იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ უფლებისა და თავისუფლების გამარჯვებისათვის.

ბატონებო! მადლობას გიძღვნით ყველას... და გთხოვთ ნება მომცეთ მივმართო მშობლიურ ენაზე ორი სიტყვით ჩემს თანამემამულეებს.»

შემდეგ ქართულად ბ. სხირტლაძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

ძვირფასო თანამემამულენო!

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობის სახელით მაქვს პატივი და მეძლევა ბედნიერება მოგილოცოთ დღევანდელი დიდი ჩვენი ეროვნული დღესასწაული.

26 მაისი დარჩება სამუდამოდ დღეთ ჩვენი ეროვნული აღდგენის და პოლიტიკურ და კულტურულ აღორძინებისა.

ამ დღეს ქართველმა ერმა გამოაცხადა და აცნობა მთელ კაცობრიობას თავისი გადაწყვეტითი ნებისყოფა, რომ საქართველო არის და იქნება თავისუფალი სახელმწიფო, როგორც იყო წინად თავისუფალი და თავის სვე-ბედის პატრონი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, რუსეთის მუხანათურად შემოჭრამდე საქართველოში.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ მოწყვეტილნი ვართ საყვარელ სამშობლოს, სადაც დღეს ბატონობს და უკვე სულს ლაფავს ველური მტერი არა მარტო საქართველოისა, არამედ მთელი კაცობრიობისა, ჩვენ დღეს, აქ, და სადაც არ ვიყოთ, ჩვეულებრივი და ღირსეული ზეიმით გავიხსენიებთ ამ ისტორიულ დღეს და მხურვალე სალამს მიუძღვნით ჩვენს მშობელ და მრავალტანჯულ ერს შორეულ საფრანგეთიდან.

ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ დღევანდელი დღე ერთ და იმავე დროს, არის სიმბოლო განუწყვეტელი ბრძოლისა ერის განსათავისუფლებლათ.

ამ მიზნის განსახორციელებლად დღევანდელი დღე გვავალებს, ერთსულოვანათ გამოვიდეთ საზოგადო-პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობის ასპარეზზე; გვერდი უქციოთ პირადულ და ჯგუფურ ანგარიშებს და შედუღებული გრძნობებით და შეერთებული ძალებით გავამტკიცოთ ეროვნული ფრონტი.

ეს არის ერთად ერთი გზა და საშუალება ჩვენი ერის საბოლოო და აუცილებელი გამარჯვების, დამოუკიდებლობის დაცვის და მისი აყვავებისა პოლიტიკურად, კულტურულად და ეკონომიურად.

იმედი ვიქონიოთ და ღრმათ გვწამდეს, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ ამ ისტორიულ დღეს დიდი ზეიმით ვიდღესასწაულებთ საყვარელ სამშობლოს ლაჟვარდ ცისა და მისი მადლიერ მზის ბრწყინვალე სხივების ქვეშე.

დღეს კი კიდევ მივესალმებით ძვირფასს საქართველოს და ერთხმათ ვეტყვით მას გამარჯვებას.

გაუმარჯოს საქართველოს და მისს თავისუფლებას!

შემდეგ სიტყვა მიეცა ბ. გ. გვაზავას, რომელმაც გააკეთა შემდეგი მოხსენება ამ სათაურით:

«საქართველოს საკითხი პარიზის კონგრესზე».

ბატონებო!

საერთაშორისო განწყობილების ისტორიაში ძნელად მოიძებნება მაგალითი ისე მწველი და სამწუხარო, როგორიც არის ქართველი ერის ბედი.

საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო; ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის პოლიტიკურ მუხანათობის წყალობით, ის გაუქმებული იქმნა როგორც პოლიტიკური ერთეული, როგორც საერთაშორისო პიროვნება.

მე მინდა დღეს მოგაგონოთ, ბატონებო, მხოლოდ ერთი მომენტი ამ გრძელი წვალების და დაყიდარაბისა: პარიზის კონგრესი 1856 წლისა, რომელიც, როგორც იცით, მოწვეული იყო ყირიმის ომის შემდეგ ზავის დასადებლად. კონგრესის წინაშე იდგა ბევრი თავსამტვრევი პრობლემა, მაგრამ საერთო მიზანი იყო ერთი: საჭირო იყო მოჰღებოდა ბოლო რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და შეჩერებულიყო გაფართოება მისი საზღვრების ბალკანეთის, შავი ზღვის და კავკასიის მიმართულებით. ეს გაფართოება ემუქრებოდა ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ სწორ-წონაობას. დადგა ამ ნაირად საკითხი იმისი, თუ როგორი იყო, რა საფუძველზე დამყარებული, რუსეთის მფლობელობა საქართველოში და საზოგადოდ კავკასიაში.

მართლაც კონგრესის 1 მარტის სხდომის ოქმში ჩვენ ვკითხულობთ:

> «ბ. გრაფი ვალევსკი, თავმჯდომარე კონგრესისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, აცხადებს, რომ მოკავშირე სახელმწიფონი ჰთხოულობენ: მოხდენილ იქმნას განსაკუთრებული განხილვა შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების მდგომარეობისა».

«შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები», ეს გახლავს საქართველო და, თუ გნებავთ, მთელი კავკასია.

რა პასუხი გასცა აგრე კაფიო და დაყენებულ საკითხს რუსეთის დელეგატმა?

> «ბარონ ბრუნოვმა, ვკითხულობთ ჩვენ იმავ ოქმში, წარმოადგინა დიპლომატიური ფაქტები, რომლების ძალით ეს ქვეყნები გადავიდნენ რუსეთის მფლობელობაში, და ახსნა მათი ეხლანდელი მდგომარეობა».

რომელია ეს «დიპლომატიური ფაქტები»? სამწუხაროდ ოქმში სხვა არა წერია რა, იქ არ არის ჩამოთვლილი ის «დიპლომატიური ფაქტები, რომლების ძალით ეს ქვეყნები გადავიდენ რუსეთის მფლობელობაში», მაგრამ ჩვენ ვიცით ეს «დიპლომატიური ფაქტები». ვნახოთ, რა უფლებას აძლევენ ისინი რუსეთს.

აქ თავდაპირველად ყველას თავში მოუდის 1783 წლის ხელშეკრულება, დადებული საქართველოს მეფე ირაკლი მე-II-ის და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მე-II-ის შორის. ამ ხელშეკრულების ძალით საქართველო ჰხდებოდა სამხედრო მოკავშირე რუსეთისა და რუსეთი კი თავის მხრივ ჰღებულობდა თავის თავზე ვალდებულებას საქართველოს წინაშე შესახებ ტახტის, ხალხის და საქართველოს სამეფოის ტერიტორიალური მთლიანობისა. მეთორმეტე მუხლის ძალით ამ ხელშეკრულებისა, არც ერთი მისი მუხლი არ უნდა ყოფილიყო შეცვლილი თუ არა ორივე მხრის წინასწარ თავისუფალ შეთანხმებით. რუსეთმა უკუაგდო ეს ხელშეკრულება და 1801 წელს ვერაგულად დაამხო და შემოიერთა საქართველო.

აი ერთი «დიპლომატიური ფაქტი». რა თქმა უნდა, რუსეთის დელეგატი პარიზის კონგრესზე ვერ გამოაჩენდა ამ ხელშეკრულებას, რომელიც აშკარა საბუთია არა რუსეთის უფლების, არამედ მისი ვერაგობისა. ის ამ ხელშეკრულებაზე ჩუმად იყო, მაგრამ მოიყვანა მეორე «დიპლომატიური ფაქტი»—ხელშეკრულება რუსეთ-ოსმალეთის შორის, დადებული პეტერბურგში 1834 წელს. მაგრამ ეს ხელშეკრულება პირდაპირი შედეგია იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო 1829 წელს ადრიანოპოლში რუსეთის და ოსმალეთის შორის. ამიტომ საჭიროა გადავავლოთ თვალი ცნობილ დოკუმენტს.

მეოთხე მუხლი ანდრიანოპოლის ხელშეკრულებისა ამბობს:

«ყველა ქვეყნები, მდებარენი ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით იმ ხაზიდან, რომელიც საზღვრად გაყვანილია ორი იმპერიის (რუსეთის და ოსმალეთის) შუა, საქართველოს (sic), იმერეთის და გურიის მიმართულებით, აგრეთვე მთელი ნაპირი შავი ზღვისა ყუბანიდან ვიდრე წმინდა ნიკოლოზის ნავთსადგურამდე, დარჩებიან რუსეთის მფლობელობის ქვეშ».

ასეთია ის ერთად ერთი «დიპლომატიური ფაქტი», რომელიც რუსეთის დელეგატს შეიძლება მოეყვანა თავის პრეტენზიის სასარგებლოდ. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამ აქტს? თავდაპირველად მოგახსენებთ, რომ ინგლისმა პროტესტი განაცხადა ამ შეთანხმების წინააღმდეგ. ყველა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწენი ინგლისისა—ისეთი პირები, როგორიც იყვნენ ვილენგტონი, ლორდ აბერდინი, გრაფ გრეი, ლორდ პალმერსტონი,—ყველანი ერთსულოვანი იყვნენ ამ შეთანხმების უარისყოფაში. «ინგლისისათვის მიუღებელია, აცხადებდნენ იგინი, ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის ხელში ჰყრის ამოდენა ქვეყნებს და სავაჭრო პრივილეგიებსო». მაგრამ, გარდა ამ პროტესტისა, ჩვენთვის საინტერესოა გავიგოთ, თუ რა ღირებულებას წარმოადგენს ეს შეთანხმება უფლებრივი თვალსაზრისით.

თავის თავად ცხადია, რომ ოსმალეთს არ შეეძლო დაეთმო რუსეთისათვის ისეთი უფლება, რაც თვითონ არა ჰქონდა. ამიტომ ვიკითხოთ, თუ რა უფლება ჰქონდა მაშინ ოსმალეთს კავკასიის ქვეყნებზე? ჩვენ ვიცით, რომ აზერბაიჯანი არასოდეს არ ყოფილა ოსმალეთის ხელში; ჩერქეზეთი და ჩრდილო კავკასია იყვნენ თავისუფალი და აწარმოებდნენ გმირულ ბრძოლას რუსეთის აგრესიული ლაშქრობის წინააღმდეგ. ეს უდავო ფაქტებია.

საქართველოს უფლებრივი მდგომარეობა ხომ უდავო იყო. ვის შეეკრა 1783 წელს რუსეთი, თუ არა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს? რაც გინდა იყოს, ოსმალეთის უფლებაზე საქართველოში ლაპარაკიც ზედმეტია. მართალია, მე-18 საუკუნეში საქართველო იყო დაყოფილი სამთავროებად, რომლებიც თითქმის დამოუკიდებელნი იყვნენ საქართველოს მეფისაგან, მაგრამ ეჭვის გარეშეა ისიც, რომ ეს სამთავროები—იმერეთის, გურიის, სამეგრელოსი და აფხაზეთის—ე. ი. მთელი დასავლეთი საქართველო სრულებით დამოუკიდებელი იყო ოსმალეთისგან. ეს ისტორიული ფაქტია. თვით რუსეთმა დასდო ამ სამთავროებთან სხვადასხვა დროს ხელშეკრულებანი, რითაც იგი სცნობს მათ დამოუკიდებლობას. მართალია, რუსეთის მიზანი იყო ამ ღონისძიებით დაშლა და დაქუცმაცება საქართველოსი, მაგრამ ყველა ეს საბუთები, რუსეთის-მიერ ხელმოწერილნი, განა არ ამტკიცებენ იმას, რომ ოსმალეთს არ ჰქონდა არავითარი უფლება ამ სამთავროების მიწაწყალზე? დასკვნაც აქედან ცხადია: ოსმალეთს არაფრის დათმობა არ შეეძლო, რადგანაც არაფერიც არა ჰქონდა.

ეხლა მგონი გასაგები ჰხდება ის ბუნდოვანი და გაურკვეველი სიტყვა, რომელიც ნახმარი არის ანდრიანოპოლის ხელშეკრულების მე-IV მუხლში. იქ ნათქვამია: «ჰრჩებიან რუსეთის მფლობელობაში ქვეყნები, მდებარენი საზღვრიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით... საქართველოს, იმერეთის და გურიის მიმართულებით». რას ჰნიშნავს ეს «მიმართულებით»? რატომ არ არის ნათქვამი პირდაპირ, რომ რუსეთის მფლობელობაში ჰრჩება საქართველო (?), იმერეთი და გურია?

აი აქა ჰცხადდება სიყალბე და ვერაგობა რუსეთის პოლიტიკისა. საქართველოს იგი აძლევს—1783 წ. ხელშეკრულებით—ყოველ აღთქმას დაიცვას მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ოსმალეთს კი უნდა გამოგლიჯოს ისეთი ხელშეკრულება, სადაც ბუნდოვანად მაგრამ მაინც ნახსენებია საქართველოს სახელი, როგორც ქვეყნის, მდებარის გაყვანილ ხაზის ჩრდილოეთით ე. ი. ისეთი ქვეყნის, რომელსაც ვითომდა ოსმალეთი უთმობს რუსეთს. პირველი ხელშეკრულება მას უნდა იმისთვის, რომ თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში და მერე ვერაგულად გაანადგუროს მისი თავისუფლება; მეორე ხელშეკრულება კი, დადებული ანდრიანოპოლში ოსმალეთთან, იმისთვის, რომ აჩვენოს ევროპას რაიმე საბუთი და თავის მფლობელობას საქართველოში მისცეს ვითომდა უფლებრივი საფუძველი.

ამის შემდეგ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ჰქნა რუსეთის დელეგატმა პარიზის კონგრესზე? ახადა ფარდა ამ სიყალბეს და ვერაგობას?! რასაკვირველია, იმას კრინტი არ დაუძრავს ამის შესახებ. ოქმში არაფერია ნათქვამი, რაც ჩვენ სრულ უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ პარიზის კონგრესს არ განუხილავს არც ერთი «დიპლომატიური ფაქტი» შესახებ ტერიტორიალურ სტატუ-ქვოსი კავკასიაში.

ეს დასკვნა ნათელი ჰხდება შემდეგი ფაქტით.

ყირიმის ომის დროს, საქართველოს დასავლეთი ნაწილი, სახელდობრ სამეგრელოის სამთავრო, ჯერ კიდევ იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი, თუმცა ეს სამთავროც მდებარეობს ჩრდილოეთით იმ ხაზისა, რომელზედაც ლაპარაკობს ანდრიანოპოლის ხელშეკრულების მე IV მუხლი. 1855 წელს სამეგრელოში შემოიჭრა ოსმალეთის ჯარი და სამეგრელოს მმართველმა, ეკატერინემ, მიიღო რამოდენიმე წერილობითი წინადადება მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. აი რასა სწერს საფრანგეთის, ინგლისის და ოსმალეთის სახელით მთავარ-სარდალი ომერ-ფაშა:

«ზუგდიდი, 31 ნოემბერს 1855 წ.

უმაღლესობავ!

ეხლანდელი ომი, როგორც უწყის თქვენმა უმაღლესობამ, დაწყებულია იმ წმინდა განძრახვით, რათა წინ აღუდგეთ და მოვუღოთ ბოლო რუსეთის იმპერატორის აგრესიულ პოლიტიკას.

სწორედ ამ მიზნისათვის ვარ მე აქ; სრული რწმენა მაქვს იმ საქმის სამართლიანობისა, რომლისათვის ჩვენ ვიბრძვით და იმ ძალებისა, რომელიც ღვთის შემწეობით საკმარისი არიან, რათა გაძევებულ იქმნას მტერი იმ ქვეყნიდან, სადაც თქვენი უმაღლესობა ჰმეფობს. მაგრამ, შემოვიჭერრა სამეგრელოში, მე აღჭურვილი ვარ უფლებით დავარწმუნო თქვენი უმაღლესობა, რომ ჩემი უზენაესი მბრძანებელი და მისი მოკავშირე ძლევამოსილი სახელმწიფონი, სრულებითაც არ ჰფიქრობენ შეაფერხონ თქვენი მთავრობა, არც შეიძინონ რამე უფლებანი სამეგრელოზე. მათი ერთად ერთი წადილია, რომ სამეგრელო და მის მეზობელი ქვეყნები იყვნენ დამოუკიდებელნი რუსეთისაგან ისე, როგორც სხვა რომელიმე სახელმწიფოსაგან, და თავისუფალნი.

მე ვთხოვ თქვენს უმაღლესობას დაჰბრუნდეს თავის სასახლეში და განაგრძოს მმართველობა თავის ქვეყნისა, დაამშვიდოს ხალხი და აუხსნას მას ნამდვილი განძრახვა ჩემი უმაღლეს მბრძანებელისა და მიზანი მისი ჯარის. ეს მიზანია—გარეკვა რუსების და აღდგენა სამეგრელოის დამოუკიდებლობისა.

გთხოვთ მიიღოთ და სხ.

მთავარ-სარდალი ოსმალეთის ჯარისა

ომერ ფაშა.»

აი მეორე წერილი. საფრანგეთის წარმომადგენელის კონტ დე მეფფრეის:

«ბანაკი და მთავარი შტაბი ონტოფოში.

6 დეკემბერს 1855 წ.

უმაღლესობავ!

მე მესმის შიში თქვენი უმაღლესობის, მაგრამ ამ შიშმა და გარდაუწყვეტელობამ, მეტად საპატიომ დედაკაცისათვის, შეიძლება, თუ კიდევ გაგრძელდა, მეტად ავნოს თქვენს და თქვენი შვილების ინტერესებს.

რუსები დამარცხებულნი არიან დუნაიაზე, ყირიმში, ინგურზე, ყველგან ერთი სიტყვით, სადაც კი მათ დავეწიეთ,—და სრულებით მოკლებულნი არიან ძალღონეს დაიცვან და შეინარჩუნონ მათ მიერ დაპყრობილი კავკასიაში ქვეყნები.

ევროპას ეხლა ახილული აქვს თვალები. მას სურს, რომ თქვენ შეხვიდეთ განათლებულ ერთა დიდ ოჯახში, რომ თქვენ ისარგებლოთ იმ სიუხვით, რაც ზეცას აგრე ხელგაშლით მოუნიჭებია თქვენი ქვეყნისათვის.

დამოუკიდებლობა, კეთილდღეობა, აი რა მოგვაქვს ჩვენ თქვენთვის! ნუთუ ჰყოყმანობს კიდევ თქვენი უმაღლესობა? ნება მომეცით მოგახსენოთ, ბატონო: თქვენი უმაღლესობა ჰბრძანდება მეგრელი, გამგე და მმართველი სამეგრელოისა, და არა ქვეშევრდომი რუსეთისა. ღმერთმა თქვენ მოგანდოთ წმიდა ინტერესი თქვენი ქვეყნისა, თქვენი შვილების, თქვენი ხალხისა. ეს ხალხი და ეს ქვეყნები არასოდეს არ დარჩებიან უცხოელების ბატონობის ქვეშ.

შტაბის პოლკოვნიკი, გამოგზავნილი მ. უ. იმპერატორი ნაპოლეონ მე-III მიერ,

კონტ დე მეფფრეი.»

არის კიდევ ერთი წერილი ინგლისის წარმომადგენლის, ფ. ლონგოვარტისა, ამავე შინაარსისა.

ამ წერილებიდან ცხადია, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს—საფრანგეთს, ინგლისს და ოსმალეთს—ჰქონიათ პირდაპირი კონტაქტი ერთ დამოუკიდებელ და თავისუფალ სამთავროსთან—სამეგრელოსთან. ჩვენ გვაქვს, მაშასადამე, უფლება ვიკითხოთ: რა უყო ამ თავისუფალ ქვეყანას პარიზის კონგრესმა? აჩუქა იგი ოსმალეთს?—არა. რუსეთს?—არა. გამოაცხადა იგი დამოუკიდებელ სამთავროდ? არა, არც ეს მომხდარა. მაშა რა?!

არაფერი. მიიღეს მხოლოდ ოსმალეთის დელეგატის წინადადება შესახებ საზღვრის ხაზის გამოსწორებისა, მაგრამ სრულებით არაფერი თქმულა და არ გადაწყვეტილა იმის შესახებ, თუ როგორია მდგომარეობა «შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებისა». ამ კითხვის «განსაკუთრებულ განხილვაში» კონგრესი სულ არ შესულა. რატომ?

მიზეზი გასაგებია. საზოგადო კონიუკტურა საერთაშორისო მდგომარეობისა სრულებით ხელს არ უწყობდა ამ «განსაკუთრებულ განხილვას». იტალიის საქმეები იყო ძალიან აწეწილი და დღეს თუ ხვალ ომი უნდა ამტყდარიყო ავსტრიის და საფრანგეთის შორის. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ რუსეთი საიდუმლო მოლაპარაკებაში იყო პრუსიასთან: მზათ იყო მიეცა იმისთვის 200.000 ჯარის კაცი საფრანგეთზე დასაცემად... ასეთ პირობებში შეუძლებელი გახდა «განსაკუთრებული განხილვა».

საფრანგეთის სასახელოდ დარჩა და დარჩება ყოველთვის ის, რომ მან დააყენა მაინც, კაფიოდ და მკვეთრად, უფლებრივი საკითხი. კონგრესის თავმჯდომარე ვალევსკიმ, საფრანგეთის მაშინდელ მინისტრმა, მისცა ამ საკითხს ასეთი ფორმულა: «უნდა მიეცეს განსაკუთრებულ განხილვას შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების მდგომარეობაო». ეს იყო წმინდა უფლებრივი საკითხი. ის დასმული იქმნა, მაგრამ მის განხილვაში კი არ შესულან. ის დარჩა გადაუწყვეტელი, დარჩა იმ დღემდე, სანამ არ დაინგრა—ისევ საფრანგეთის თავგანწირული შვილების წყალობით—ოთხი დიდი იმპერია: გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის და ოსმალეთის. მხოლოდ ამ იმპერიათა დანგრევის შემდეგ, 1921 წელს საფრანგეთს მიეცა საშუალება მშვიდობიანად მოეხდინა ის «განსაკუთრებული განხილვა», რომელზედაც ლაპარაკობს ვალევსკის ფორმულა. შედეგი თქვენ იცით: საქართველო ცნობილ იქმნა დე-იურე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

დღეს მე-11 წლის თავია ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ჩვენ ვერ გამოვუშობდით ამ შემთხვევას ისე, რომ არ მოგვეგონებინა ზოგიერთი მომენტები, რომლითაც გადაბმულია საქართველოს ბედი საფრანგეთის სახელთან. პოლ-ბონკურმა სთქვა ეხლახან: ეტლი დიდი პრობლემისა გადაბმული უნდა იყოს რომელიმე ვარსკვლავზეო. ეტლი საქართველოს თავისუფლებისა განა გადაბმული არ არის უკვდავი საფრანგეთის ქვეყნისა მნათი ვარსკვლავზე?..

სიტყვების შემდეგ დაიწყო მუსიკალური განყოფილება. მშვენიერნი იყვნენ: ქ-ნი ხუნცარია (სოპრანო), ნინო ლეჟენი (სოპრანო), გობეჩია (ვიოლონი) და მარცელა შობიონი; აგრეთვე ბ.ბ. ივანიძე-დუბროვსკი (ბარიტონი), ი. ორბელიანი (პიანო) და დარიალ-ნანობაშვილი (ტენორი). ყველამ გამოიწვია აღტაცება და მხურვალე ტაში. ლამაზათ აასრულა პ. მოსულიშვილის ხორომ რამდენიმე ხალხური სიმღერანი და ეროვნული ჰიმნი. ქ-ნ გომართელის და ბ. ჭიჭინაძის ლეკურმა სულ გადარია ხალხი.

საზოგადოება დაიშალა დიდათ კმაყოფილი.

დამსწრე.

◆

ქართული სიძველენი ევროპიელ ანტიქვარებთან.

რევოლიუციამ, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამ და აქედან გამოწვეულმა ემიგრაციამ მოახდინა ერთგვარი მობილიზაცია სიძველენისა. გალატაკებულმან და გაჭირვებულმან ემიგრანტებმა გამოიტანეს ბაზარზე გასასყიდათ რის წამოღება და გადარჩენაც მოასწრეს.

რასაკვირელია ამ დარგში ქართული სიძველენიც უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ჩვენ ჯერ ამის რეგისტრაცია არა გვაქვს. ამ ჟამად მსურს გავაცნო მკითხველს ის ნივთები, რომელნიც ჩვენ შემთხვევით ვნახეთ ან რომლებზედაც ცნობა გვაქვს.

პარიზის ცნობილ ანტიქვარ ა. ზოლოტნიცკისთან ამ ორიოდე წლის წინეთ ჩვენ ვნახეთ სამი ქართული ნივთი[*]). შემდეგ მისგან ეს ნივთები მეორე ანტიქვარს ეყიდა და მასაც გაუყიდია უკვე, მაგრამ ვისზე გაყიდა, არ ამბობს. ეს ნივთები იყო:

1. ხატი ღვთის მშობლისა მილანქრიანი ქართულ-სპარსული რიგისა ბატონიშვილის ასულის ხვარამზისა.

ამ პატარა ოქროს ხატის სიმაღლე არის 8,8 სანტიმეტრი, განი 7,5 სანტ. ღვთის მშობელი სასწაულთა რიგის არის წელს ზევითი, ძითურთ წიაღთა. ღვთისმშობლის სახელი ჩვეულებრივის შემოკლებით ბერძნული ასომთავრულით უწერია. სურათი შესრულებულია ოქროს ფირფიტზედ ქართულ-სპარსულ მილანქრით. ფონი სულ მწვანეა, სამოსელი ღვთისმშობლისა მუქი-ლურჯი, ხოლო ყრმისა ოქროს ფერია. ღვთისმშობლის სახე უფრო კათოლიკური რიგის არის ვიდრე ქართულის. ხატი ეტყობა სპარსი ოქრომჭედელის მიერ არის გაკეთებული და გამკეთებელს კათოლიკური ხატიდან გადმოუღია სურათი. აშიები შინაგანი და გარეგანი უბრალო ხლართულებით არის შემკობილი. მეორე გვერდის ოქროს ფირფიტზედ მთელს სიგრძეზედ ჯვარია წარმოდგენილი შუბით და ღრუბლით. ჯვარის ქვემოთ ადამის თავი მოჩანს. ზემოთ ჯვარს ასომთავრულით უწერია: ი ნ მ ჰ, ესე იგი: «იესო ნაზარეველი მეუფე ჰურიათა». ჯვარის მარცხნივ და მარჯვნივ ზემოთ და ქვემოთ: ი ქ ძ მ, რაც ნიშნავს: «იესო ქრისტე, ძლევა მისი». სისქეზედ ხატისა სამის მხრით უვლის მხედრული წარწერა ორ-ორ მწკრივათ სევადით შესრულებული შავ ფონზედ:

1. ჩვენ: ბატონის: შვილმა: ხვარამზემა: მოვაჭედინეთ
2. ხატი: ესე: და შემგწირე თფილისის: სიონთა
3. ღის: მშობლს: ვითაცა: ჩვენი: სასურველი: შვილი: თამარ
4. თქვენ: ტაძარში ემარხა: მისის: სულის: სახსრად: ცოდვა
5. თა: ჩვენთა: შესანდობლად: შეიწირე: შენ: ყო
6. ლად: სანატრელო: ქალწულო: ქ̄კს: ტჟჱ:.

ანუ

ჩვენ ბატონიშვილმა ხვარამზემა მოვაჭედინეთ
ხატი ესე და შემოგწირეთ თფილისის სიონთა
ღვთისმშობელს, ვითარცა ჩვენი სასურველი შვილი თამარ
თქვენ ტაძარში ემარხა, მისის სულის სახსრად, ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად. შეიწირე შენ, ყოვლად სანატრელო ქალწულო, ქორონიკონს ტჟჱ.

ქორონიკონი უდრის 1710 წელს. აქ მოხსენებული ხვარამზე არის ბატონიშვილის ლევანის ასული, ძმისა გიორგი მეთერთმეტისა (ქ. ც. II, გვ. 58). ლევანი იყო ერთ დროს გამგებლად ქართლისა.

---

[*]) ამ ნივთებზე მე მიმითითა და რაც გაერჩია წარწერებიც მომაწოდა ინჟინერმა ბ-მა სიმონ ციციშვილმა, რისათვისაც დიდ მადლობას ვსწირავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახარება გიორგი მეთერთმეტის მდივნის კვინიხიძისა.

სახარება პატარა ტანისაა, ნაწერია მშვენიერად გაეშვულს ქაღალდზე ერთობ წვრილის ნუსხა ხუცურით ორ-სვეტად, რამკებში, რომელნიც ოქროთი არიან შესრულებულნი. თითო სვეტის სიმაღლე არის 5,3 სანტიმეტრი, განი 1,5 სანტიმეტრი. შემკობილია ხელნაწერი ოთხი მახარობელის სურათით. სურათები ფერადებით არის დახატული. ყველა სახარებას წინ მიუძღვის სურათი მახარობელისა, შემდეგ სია სახარების სათაურთა. სახარების ბოლოში მოქცეულია საჩვენებელი დღიურ საკითხავთა. სათვალავი რვეულებით არის აღნიშნული, რვეულში რვა ფურცელია, სულ 30 რვეულია და ამას გარდა დღიურ საკითხავების სარჩევს უჭერია 30 ფურცელი, ასე რომ ხელნაწერი სულ შეიცავს 270 ფურცელს. ტექსტი საერთოდ სრულად არის დაცული, ხოლო ბოლოში, დღიურ საკითხავთა შემდეგ, აკლია ერთი რვეული, რომელზედაც ბოლო სიტყვაობა უნდა ყოფილიყო გადამწერისა. საბედნიეროდ გადამწერის სახელი მოხსენებულია პირველი სამი მახარობელის სახარების ბოლოში. მათეს სახარების ბოლოს სწერია:

წ˜ო მ˜თე მ˜ხრბ˜ლო შ˜ნ მ˜ხ
მექმენ წ˜ე ქს˜სა. ცდვილ
სა და ფ˜დ საწყლობლს
ა მწერალს პა
პუნასა
ამინ:.
ჩ˜ფ:-

უქარაგმოთ:

წმიდაო მათე მახარებელო, შენ მეოხ
მექმენ წინაშე ქრისტესა ცოდვილ-
სა და ფრიად საწყალობელს-
ა მწერალს პა-
პუნასა.
ამინ,
ჩ˜ფ.

უკანასკნელი სიტყვა იმ საიდუმლო ასოებით არის დაწერილი, რომელსაც ანჩინური ეწოდების და ნიშნავს ა˜ნ, ესე იგი: ამინ (ვინაიდან ჩ უდრის ა-ს და ფ ნ-ს).

მარკოზის სახარების ბოლოს:

წ˜ო მ˜რკზ მხ˜რებლო
შ˜ნ მ˜ხ მექმენ ფ˜დ ცდვ
ილსა და სწყლბლსა მ
წერალსა პაპუნ˜ს
შ˜ნ მ˜რ ქად˜გებლსა
წ˜ე დღესა მს დიდსა გ
ანკითხვს˜სა ა˜ნ ჩ˜ფ

ვინცა ეს ჩ˜ნი სხ˜ლი
აღმოკითხოს: აღიკ
ოცენინ იგი წიგნისგ˜ნ
ცხოველთასა და მართალთ
ა თ˜ა ნუ დაიწერებედ:

უქარაგმოთ:

წმიდაო მარკოზ მახარებელო,
შენ მეოხ მექმენ ფრიად ცოდვ-
ილსა და საწყალობელსა მ-
წერალსა პაპუნას
შენ მიერ ქადაგებულისა
წინაშე დღესა მას დიდსა გ
ან კითხვისასა, ამინ, ჩ˜ფ.
ვინცა ეს ჩემი სახელი
აღმოკითხოს, აღიკ-
ოცენინ იგი წიგნისაგან
ცხოველთასა და მართალთ
ა თანა ნუ დაიწერებედ.

მეშვიდე სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა აქაც ანჩინურის სახით არის დაწერილი და ნიშნავს «ამინ».

ლუკას სახარების თავის ბოლოს:

წ˜ო ლ˜კა მხ˜რებ˜ლო
მ˜ხ მეყ˜ვ წ˜ე ქ˜სა ყდ
ც˜დვლსა ამისსა მწ
ერალსა ღჩლმფჩკ.

უქარაგმოთ:

წმიდაო ლუკა მახარებელო,
მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესსა ყოვლად
ცოდვილსა ამისსა მწ-
ერალსა ღჩლმფჩკ.

უკანასკნელი სიტყვა ანჩინურის საიდუმლო ანბანით არის დაწერილი, მაგრამ ერთი შეცდომაა დაშვებული ღ ის მაგიერ ყ უნდა იყოს ორივე ადგილას და მაშინ სიტყვა უდრის პაპუნას *).

შინაგანი ყდა ხელნაწერს აქვს ყავის ფერი ტყავისა თხელი, უფიცროთ, შემკობილია ოქროთი გაკეთებულის ბალახის და ყვავილთა მსგავსი ხლართულებით, ეხლა ეს შინაგანი ყდა მოსცილებია ხელნაწერს, შემდეგ ხელნაწერი ამ შინაგანი ყდითურთ მოქცეულია მეორე საყურადღებო ყდაში, ბუდის მსგავსად, რომელიც იშლება ჩხირების ამოღებით. ეს ყდა ოქროსია. შემკობილი ქართულ-სპარსულ მილანქრით. წინა პირზე ყდისა წარმოდგენილია სურათი ჯვარცმისა ქრისტესი სამი თანამდგომით. ზემოთ გამოხატულია მზე და მთვარე ერთგვარის სამკბილიანი ნამგლის მსგავსი წრით. სურათები შესრულებულია მწვანე და თეთრი მილანქრით ოქროს ფონზე. აშია ირგვლივ ფურცელ ყვავილოვანია ოქროს ფერისა მწვანე ფონზე. ქრისტეს თავი მცირეთ მარცხნით არის მოხრილი, ტანი წელს ზევით და მუხლებს ქვევით ტიტველია. წელზე მწვანე კვართი და ვარდისფერი სამოსელი ემჩნევა. მეორე პირზე ყდისა წარმოდგენილია ჯოჯოხეთის წარტყვევნა; ქრისტეს გამოჰყავს მამათ მთავარნი ხელებჩაკიდებით მარჯვნივ და მარცხნივ. ქვემოთ თითო ფიგურა მოჩანს ორივე მხრით. წრის ქვეშ, რომელზედაც ქრისტე დგას, პატარა კაცის ფიგურა არის სულ თეთრ ტანისამოსში, ხელებ აშვერილი, მაგრამ ფეხმოკეცით დამჯდარი. სუყველა ფიგურების ტიპი პირწავარდნილი სპარსულია. ასეთ ტიპებს ჯვარცმის და ჯოჯოხეთის წარტყვენის სურათებზე ჩვენ პირველად ვხედავთ. აშია აქაც ისეთია როგორც წინაპირზე. ოთხივე გვერდზე ყდისა არის მხედრული წარწერა სევადით ოქროს ფონზე, ორ-ორ სტრიქონად თითო გვერდზე:

1. ქ. ნებითა: და: შეწევნითა: მღ˜თისათა: ჩვენ: ფრიად: ცო
2. დვილმან: დიდისა: და: ზეშთა: აღ
3. მატებულისა: ქართლისა: მეფეთ: მეფისა: სრულიად: ერ
4. ანისა: სპასალარისა: ყანდარის: და: ქირმნ
5. ის: ბეგლარ: ბეგისა გიორგი: ყოფილისა: პატრონისა შაჰნვა-
6. მონამნ: მდივანმა: კვინიხიძემა |ზის
7. გიორგიმ: მვაჭედინეთ: პატიოსანი: სახარება: ეს:
8. სულითა: და: ხორცითა: საოხად: ამინ: ქ˜კს: ტქე.

უქარაგმოთ:

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა, ჩვენ ფრიად ცოდვილმან, დიდისა და ზეშთა აღმატებულისა ქართლისა მეფეთ მეფისა, სრულიად ერანისა სპასალარისა, ყანდაარის და ქირმანის ბეგლარ ბეგისა, გიორგი ყოფილისა, პატრონისა შჰანავაზის მონამან, მდივანმა კვინიხიძემა გიორგიმ, მოვაჭედინეთ პატიოსანი სახარება ეს, სულითა და ხორცითა საოხად, ამინ, ქორონიკონს ტქე.

ქორონიკონი უდრის 1707 წელს. ეტყობა მდივანი გიორგი კვინიხიძე ქუთაისიდან გაყოლია გიორგი მეთერთმეტეს სპარსეთში. სახარების ყდა ეჭვს გარეშე სპარსეთშია გაკეთებული სპარსი მოხელის მიერ და მით აიხსნება სპარსული ტიპები სურათებისა ამ სახარების ყდაზე. გიორგი მეფე, როგორც ვიცით, მოკლულ იქმნა ყანდაარს 1709 წელს.

3. ჯვარი ათონურის რიგისა, მაგრამ ქართული ხელობისა.

ეს არის ფრიად გავრცელებული ჩვენში ათონურის რიგის ხის ჯვარი, რომელზედაც ჩვეულებრივ გამოქანდაკებულია ჯვარცმა, ათთორმეტნი საუფლონი, მოციქულები და სხვა სურათები. ასეთი ჯვრების დამზადება და გაკეთება დღემდისაც არ შეწყვეტილა საქართველოში. ჯვარი, რომელზედაც ეხლა გვაქვს საუბარი, არის ბზის ხიდან გაკეთებული, სიმაღლე აქვს უტაროთ 12,5 სანტიმეტრი, განი შუა ნაწილში 6 სანტ. პირველ გვერდზე ჯვარისა ამოჭრილია შემდეგი სურათები: დაბადება ქრისტესი, ნათლის ღება, დედა ღვთისა ჩვილედი. და თორმეტი მოციქული; მეორე გვერდზე ორივე ხარება, ჯვარცმა და ჯვართ ამაღლება. გვერდები ჯვარისა შეჭედილია ოქროთი და სპარსულ-კავკასიურ მილანქარით წარმოდგენილია შემკობილებანი ყვავილის და ფოთლების სახით მე-18 საუკუნისა; ფრთებზე სამის მხრით ჯვარს უზის ბუდეებითურთ ზურმუხტები დაბალი ხარისხისა. მე ეს ჯვარი უტაროდ მაჩვენეს, მაგრამ როგორც მერმე მიღებული სურათებიდან აღმოჩნდა, ჯვარს ტარიც ჰქონია ორმუხლედი სამი ნასკვნით და ამ ტარზე მხედრული წარწერაც ყოფილა, მაგრამ ჩემს სურათზე მარტო ერთი პირი არის წარწერისა, რომელზედაც იკითხება:

ქ: იესო:. ყ˜დ:. ძლიერო:. და ჯვარო:. ცხოვე-
ლს:. მყოფელო:. შე და:. შეუნდევ:. ცოდვილი

მეორე გვერდის დანარჩენი ორი სტრიქონის სურათი არა გვაქვს და ამიტომ არ ვიცით, ვისზეა აქ საუბარი. წარწერის ხასიათი და თვით ხელობა ჯვარისა გულისხმობს, რომ როგორც ჯვარი ისე წარწერაც ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს.

დასასრულ საჭიროთ ვრაცხთ მადლობა გამოუცხადოთ ა. ზოლოტნიცკის, რომელმაც ამ ნივთების აღწერის უფლება მოგვცა და ნაცვლად წარწერების გარჩევისა და გადათარგმნისა მათი ფოტოგრაფიული სურათებიც მოგვაწოდა.

(გაგრძელება იქნება)

მქ. თაყაიშვილი.

---

*) ამის შესახებ იხილე ჩვენი: პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, გვ. 5 და 6.

◆

მოწოდება

ქართველ ერ.-დემოკ. ახალგაზრდობას.

ეროვნულ თავისუფლების დაკარგვამ ნაწილი ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდობისა გადმოისროლა პოლიტიკურ ემიგრაციის არა ნორმალურ პირობებში. ცხოვრების გადუხჭირებასთან ერთად მას დააწვა დიდი მოვალეობანი ერისა და ხალხის წინაშე.

ჩვენი ახალგაზდობის დანიშნულებაა ნათლად შეიგნოს ეს მოვალეობანი და გაჰყვეს იმ გზას, რომელიც ეფარდება ჩვენი პარტიის ძირითად პრინციპებს და ემსახურება ერის ინტერესებს.

ჩვენ პარტიაში მყოფ ორიოდე წევრის მიერ [illegible]ვის შეტანამ ჩვენს რიგებში ვერ შეარყია ის საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი პარტიული ცხოვრება და ვერ დაგვაშორა იმ გზას, რომელიც მიდის საქართველოს სრულ თავისუფლებამდე.

ახალ. კომიტეტი ჩვენი პარტიის ერთად-ერთ კანონიერ ორგანოს, პარიზის კომიტეტს, გვერდით უდგა იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებდა ჩვენს პარტიაზე იერიშის მომტანთა წინააღმდეგ. დღესაც, როდესაც ჩვენი პარტიული შინაგანი მდგომარეობა უნდა გაჯანსაღდეს საბოლოვოდ, ახალგ. კომიტეტი ერ.-დემოკრატიულად მოაზროვნე ახალგაზდობის მოვალეობად სთვლის უფრო მჭიდროთ დაუკავშირდეს იმ ხაზს, რომელიც ახასიათებს ჩვენი პარტიის სულისკვეთებას საქართველოში: ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ წყობილებისათვის.

ახალგ. კომიტეტი მოუწოდებს მთელ ჩვენს ახალგაზდობას აქ და საქართველოში შემოკრბეს ჩვენი კომიტეტის გარშემო, შეიტანოს თავისი წვლილი მის საქმიანობაში და გარკვეულად მოხაზოს ის წრე, რომელიც მისთვისაა მისაღები, როგორც ახ. ეროვნულ-დემოკრატისათვის.

ჩვენ მხურვალედ ვესალმებით ერ.-დემოკ. პარტიის საზღვარგარეთელი კომიტეტის ორგანო «საქართველო»-ს გამოსვლას და უსურვებთ მას ნაყოფიერ შემოქმედებას.

ეროვნულ-დემკრ. პარტიის ახალგ. პარიზის კომიტეტი.
თავმჯდომარე: შ. შავლაყაძე.
წევრები: 1. ლ. ზურაბიშვილი. 2. გრ. აბულაძე.
მდივანი გრ. თადეიშვილი.

◆

წერილი მაღაროდგან

ორნის რკ. მაღაროებში 11 ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ახლად ჩამოვიდენ საქართველოდგან და უჩვეულო პირობებში მუშაობენ, მტკიცე იმედით შეჰყურებენ საქართველოს სრულს განთავისუფლებას. ჩვენს პარტიაში უკანასკნელად მომხდარი ამბები შევიტყვეთ და გავეცანით. სამწუხარო და სავალალოა ჯგუფების გაჩენა დღევანდელ ჩვენ პირობებში, როცა ძალთა დაზოგვა საჭიროა და ერთად ყოფნა აუცილებელი. მაგრამ ისიც მართალია, რომ ვიწრო-ჯგუფურ მუშაობას ვერ ვანაცვალებთ იმ ერის საერთო საქმეს, რომლის მოსამსახურეთ ჩვენ მოგვაქვს თავი.

საქართველოში დღეს ყველა პარტიები ერთ ფრონტში შეერთებული არიან; ასეთია ნება და სურვილი, ბრძანება მთელი ერის და ვინც შეეცდება სახელი გაუტეხოს ამ საერთო მუშაობას, ან გამოეთიშოს მას, ის ცუდ სამსახურს უწევს ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს.

საერთო თანამშრომლობა ყველა ეროვნული ძალების ჩვენი მთავრობის გარშემო არის ისტორიული მოვალეობა ყველა პოლიტიკური პარტიების. ასეთია აზრი ყველა აქ მყოფი ჩვენი პარტიული ამხანაგების, გარდა ორიოდე პირისა.

მივესალმებით თქვენ მიერ გადადგმულ სწორ ნაბიჯს, და გისურვებთ რომ პარტიის უდიდესი მოვალეობა ეროვნული საქმისადმი სამსახურში ბოლომდე მიგვეყვანოთ.

შოთა გედევანიშვილი.

ორნის რკინის მაღაროები,
1 ივნისი, 1929 წელი.

Rédaction et Administration : 3, rue du Sabot, PARIS (VI°)
Georges GVAZAWA

ჟულიო დე კრებიონი
ფარსმან
მეფე ივერისა
თარგმანი.
ფასი 5 ფრ.
გამოვიდა და იყიდება.
(მისამართი: 8, rue Françoiz Coppée Paris. გიორგი გვაზავა)

Prométhée
REVUE MENSUELLE
Organe de défense nationale des Peuples du
Caucase
Géorgie
Azerbeidjan
Caucase du Nord
Un an.......... 30 fr.; Etranger.......... 50 fr.
Paris (VI°), 3, rue du Sabot
Directeur : GEORGES GVAZAWA.

Gérant : G. MALLET.

Arpajon. — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*